**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

13 ოქტომბერი 2023

N 01/1/2607

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 6 ოქტომბერს, სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინა 110 კვ ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების „ჩაქვისა“და „ანასეულის“ „შესვლა-გამოსვლის“ ქვვესადგურ „ოზურგეთი-220“-ში მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://ei.gov.ge/ka/info/2c055fc0-788d-47e6-a7aa-e66c2fcc2fc5

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2023 წლის 1 ნოემბერს 15:30 საათზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო **განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.**

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება თქვენს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ,

დაუკავშირდეთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: +995 322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 1 გვერდი
- პროექტის დოკუმენტაცია - 4 ფაილი

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი